სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/162

ქ. თბილისი 26 ივნისი 2018

სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დოქტორანტის სადისერტაციო თემის კორექტირების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დოქტორანტ თამარ ხოშტარიას მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 ივნისის №01-05-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სადოქტორო პროგრამა „არქიტექტურის“ სწავლების მესამე წლის დოქტორანტ თამარ ხოშტარიას სადისერტაციო თემის დასახელება „ტურისტულ-სარეკრეაციო კლასტერის შექმნა სამცხე-ჯავახეთში მისი ქალაქგეგმარებითი პოტენციალის გამოვლენის მიზნით“ იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით – „ტურისტულ-სარეკრეაციო კლასტერის განვითარება სამცხე-ჯავახეთში მისი ქალაქგეგმარებითი ფაქტორების გათვალისწინებით“;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**